პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 თებერვალი ოთხშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 49 (15870)

23-24 მარტს მეცხოველეობის ფერმების დათვალიერებაა

მეცხოველეობა — ყოველდღიური საგრუნავი

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრელი წლის 23-24 მარტს საქართველოს მეცხოველეობის ფერმებში ჩატარდება რესპუბლიკური დათვალიერება. ეს კარგი ტრადიცია შარშან 17 მარტს მოეწყო. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო მეცხოველეობის პროდუქტების ხიუხვის შექმნაში ერთგვარ წარმატებას. გაუმჯობესა ფერმებში მომუშავეთა მომსახურება. საგრძნობლად გაზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება, გამოავლინა მეცხოველეობის საქმეში ჩამორჩენილი რაიონები, ფერმები.

1974 წელს — ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს — მეცხოველეობის წინაშე დასახულია უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე შარშან. სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 98 ათასი ტონა ხორცი ნაცვლად 95 ათასი ტონისა, 195 ათასი ტონა რძე ნაცვლად 193 ათასი ტონისა, 280 მილიონი ცალი კვერცხი ნაცვლად 270 მილიონი ცალისა.

ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ეს დავალება სასახელოდ შევასრულოთ — ახლა ასეთი დევიზით მუშაობენ რესპუბლიკის მეცხოველეები.

მარნეული

მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მთელი ძალით მუშაობენ იმისათვის, რომ ამრავლონ მეცხოველეობის პროდუქტები. ახალი წარმატებით შეხვდნენ მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დაწინაურდნენ მარნეულის, ყაჩაღნის, ბოჯორნისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმები. სადაც პირუტყვი კარგად იზამორებს, აქვთ საკმაოზე მეტი საკვები, ადგილი არა აქვს პირუტყვის სიკვდილიანობას.

მარნეულისა და ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობებში ამ დღეებში შეასრულებენ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმას.

რაიონმა წელს პირველ კვარტალში სახელმწიფოს უნდა მიაყიდოს 278 ტონა ხორცი, ფაქტიურად მიყიდულია 160 ტონამდე. სახელმწიფოს მიეყიდა 500 ტონაზე მეტი რძე, გეგმით უნდა მიეყიდოს 925 ტონა. გადაწყვეტილია როგორც ხორცის, ისე რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესასრულონ მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების დღის — 23 მარტისათვის.

გარდაბანი

გარდაბნის რაიონის ბევრი საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის პირველი დღეები კარგად დაიწყეს. რაიონმა აწარმოვა და სახელმწიფოს უკვე მიაწოდა 800 ტონაზე მეტი ხორცი. ეს პირველი კვარტალის გეგმის 60 პროცენტს შეადგენს. ახლა დიღმის, სართიჭალის, მარტყოფის, კრწანისის, ნორიოსა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად ნაკისრი ვალდებულებანი. მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების დღისათვის სახელმწიფოს მიჰყიდნიან 2.362 ტონა რძე და 1.393 ტონა ხორცი.

კვლავ კარგად მუშაობენ დიღმის მერძევეობა-მეძროსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები. ამ მეურნეობის იმ ფერმის ბრიგადამ, რომელსაც გ. ლომისაშვილი ხელმძღვანელობს, შარშანდელთან შედარებით მარტო იანვარში თვითეულ ძროხაზე მიიღო 26 კილოგრამამდე მეტი რძე. ფერმის მუშაკები ოლია ფალიაშვილი, ნუნუ ბაზალი, რუსუდან მაჩუტიშვილი, ზინა ხაჩიროვა პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან. თვითეული მათგანი გეგმის ზევით 100 ცენტნერი რძის მიღებისათვის იბრძვის.

ხუთწლედის მოწინავეები

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა ერთ-ერთი მოწინავეა ზუგდიდის რაიონში. ფერმაში 157 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან 177 საფურაჟე ძროხაა.

კოლმეურნეებმა გასულ წელს ყოველ ძროხაზე 2.740 კილოგრამი რძე მიიღეს და დავალებას 140 კილოგრამით გადაჭარბეს. ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მეცხოველეებმა „ახალი. მიჯნები დაინახეს. ისინი ვარაუდობენ, რომ ყოველ მეწველ ძროხაზე მიიღონ 3.100 კილოგრამი რძე.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მოწინავე მწველავები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზ. გუბელაძე, ე. კაკულია, ს. გუბელაძე, კ. ესებუა და ა. ყუფუნია.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეეასრულოთ გეგმაც, ვალდებულებაც!

ბოლო მიჯნები დასახეს ჩვენმა პარტიამ და ხალხმა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრელ წელს. ამ გადადებული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ჯერ კიდევ გასული წლის ბოლო თვეებში დაიწყო მზადება. ძირითადი გეგმების პარალელურად შეიმუშავეს შემხვედრი გეგმები.

გასული წელი პარტიამ განსაზღვრა როგორც მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელიწადი: იგი გახდა ნამდვილად დამკვრელური შრომის. საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების წელი. ამის შედეგად საეგმო დავალებანი შესრულდა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის დავალება ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შეასრულა, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 140 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 1972 წელთან შედარებით შეადგინა 7,3 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა — 6 პროცენტი. პროდუქციის მატებამ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე შეადგინა 83 პროცენტი. გადაჭარბებით შესრულდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება, კარგად იშრომეს სატრანსპორტო ორგანიზაციებმა.

ამ წარმატებებს მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ, რომლებმაც რესპუბლიკა დააჯილდოეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით.

მაგრამ მრეწველობაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში დაშვებული ჩამორჩენა, რომელიც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. ამიტომ 1974 წლის შემხვედრი გეგმების შემუშავებისას საწარმოთა კოლექტივებმა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა გამოთქვეს მზადყოფნა ყველგან განამტკიცონ ორგანიზებულობა და დისციპლინა, გაამლიერონ შრომითი შემართება.

1974 წლისათვის შემუშავებულ ვალდებულებებში, ჩაწერილია, რომ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის და უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა გამოშვების წლიური გეგმა შესასრულონ ვადამდე, 25 დეკემბრისათვის. ძირითადი და შემხვედრი გეგმის გადამეტებით მოუახდინონ 80 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. ამასთან უზრუნველყონ წარმოების ზრდის დასახული ტემპი. პროდუქციის მატების 85 პროცენტი მიიღონ შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. მშენებლებმა საინჟინრო სამუშაოთა წლიური გეგმა შესასრულონ 25 დეკემბრისათვის, ამასთან მიაღწიონ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის კვარტალური გეგმების რიტმულ შესრულებას, მნიშვნელოვნად შეამცირონ დაუმთავრებელ მშენებლობათა რაოდენობა და უზრუნველყონ ობიექტების ვადამდე და ვადაზე ადრე ჩაბარება. ასევე გადადებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ამიერკავკასიის რკინიგზის, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს საოქალაქო ავიაციის სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივებმა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა 1974 წელი დაიწყეს სამეურნეო მშენებლობის ახალი მნიშვნელოვანი გამოცდილებით. შარშან, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში წარმოიშვა მრავალი ინიციატივა და თაოსნობა. რომელთა ფართოდ დანერგვამ ხელი შეუწყო წლიური გეგმის წარმატებით შესრულებას. ნოვაციორები კვლავ ეძიებენ ახალ რეზერვებს დაძაბული გეგმების შესრულებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრება ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ჩვენს საზოგადოებაში. პირველი კომუნისტური შაბათობებიდან, ხუთწლედების სახელოვანი წლებიდან დღევანდელ დამკვრელურ ვახტებამდე მოდის მასობრივი შრომითი გმირობის ესტაფეტა. ახლა, როცა ობიექტურად გაიზარდა ჩვენი საგმირო საქმეების ნირთული და მასშტაბები, შეჯიბრების როლი კიდევ უფრო იზრდება. იგი უნდა ავამაღლოთ ახალ დონემდე, რათა შეჯიბრების საგანი გახდეს ბრძოლა მუშაობის მაღალი შედეგებისათვის, დავალების ყველა მაჩვენებლით შესრულებისათვის უნდა იბრძოდნენ არა მარტო წარმოების მოწინავენი, არამედ მთელი კოლექტივები.

მშრომელთა მიტინგებზე, რომლებიც მიეძღვნა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, ბევრი პატრიოტული სიტყვა ითქვა, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ საქართველოს მუშათა კლასის გრძნობებსა და მისწრაფებებს. ფართოდ გავრცელდა მოწოდება: „ბამოვუშვათ მეხი. უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით“.

როგორ დაიწყეს 1974 წელი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რა შედეგებით დაამთავრეს წლის პირველი თვე? პროდუქციის რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 101,7 პროცენტით შეასრულეს. ეს მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ მოწინავე საწარმოთა გვერდით ჯერ კიდევ არ იყონ ჩამორჩენილი საწარმოები. იანვარში გეგმა ვერ შეასრულა 88 საწარმომ, ანუ საწარმოთა მთელი რაოდენობის 8,5 პროცენტმა. ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. როგორც ჩანს, ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, დარგობრივმა სამინისტროებმა ჯერ კიდევ ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან. არ მიიღეს ზომები, არ განახორციელეს სათანადო ღონისძიებანი წლის პირველი თვიდანვე რატომული, გამართული მუშაობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სცოდავენ სამშენებლო ორგანიზაციებიც; კაპიტალური მშენებლობის ინვესტიციების დავალება არ შესრულებულა.

სანამ დროა, შეჯიბრების მონაწილეთა მეცადინეობა უნდა წარმართოთ იმ ღრმა რეზერვების ძიებისათვის, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გავზარდოთ საწარმოთა სიმძლავრენი ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციით, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და ახლით შეცვლის, მართვის სრულყოფის, შრომის უკეთესი მეთოდების გამოყენების ჯზით. საყოველთაო ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ავრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ კარგ შედეგებს აღწევენ იქ, სადაც მასების ენთუზიაზმი ეხამება ზუსტ ეკონომიურ ანგარიშს, შრომის მაღალ ორგანიზაციას. მაგრამ ამას ზოგჯერ ხელს უშლის სხვადასხვა საწარმო უწესრიგობანი, დაგეგმვის შეცდომები და შეფერხებანი მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა იყენებდნენ ყველა ბერკეტს ამგვარ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, თვითეული ადამიანისათვის, თვითეული კოლექტივისათვის უზრუნველყოფდნენ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების ხელშემწყობ პირობებს; უნარიანად უნდა ვიყენებდეთ მატერიალური და მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმებს.

1974 წლის კოლექტიური და ინდივიდუალური სოციალისტური ვალდებულებანი, შემხვედრი გეგმები გამსჭვალულია ზრუნვით საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ეს მუშაობა კონკრეტულად ისახამს ხორცის დამკვრელთა სახელოვანი საქმეებით, რომლებიც გვიჩვენებენ ეფექტიანი მუშაობის ნიმუშებს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. ეს პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. მათ დაუცხრომლად უნდა განავითარონ კოლექტივებში კეთილშობილური შრომითი მეტოქეობის სულისკვეთება.

საქართველოს მუშათა კლასს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უფრო მაღლა ასწიოს სოციალისტური შეჯიბრების დროშა ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

ხუთწლედის ფონდი

რესპუბლიკის საწარმოებში სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს მოსკოვის სახარისხეველი დეპოსა და მოსკოვის სხვა მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 104 წლისთავის აღსანიშნავად 20 აპრილს მოაწყონ ტრადიციული კომუნისტური შაბათობა.

ზეიმით აღინიშნება ეს დღე თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისში“, შრომის დღესასწაულთან დაკავშირებით ამოქმედდება ახალი ერთპროცესიანი სამღებრო-მოსაჩითი აგრეგატი, რომელიც ნაბიჯნაბიჯ ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა შაბათობის დროს გამოუშვას ოცდაათი ათასი წყვილი წინდა დაზოგილი ნედლეულისა და მასალებისაგან და ხუთწლედის ფონდში შეტანილ ორი ათასი მანეთი. საწარმოს კომკავშირელები წარმოების ვეტერანებთან ერთად დარგავენ ას ხეს და ბუჩქს. გაამშენებენ ყვავილნარებს.

თბილისის კამვოლური დარგის ფაბრიკის ასობით მუშა-მოსამსახურე მონაწილეობას მიიღებს „წითელ შაბათობაში“. მათ გადაწყვეტეს კეთილმოაწყონ საწარმოს ტერიტორია, შეაკვთონ მოწყობილობა.

ამ დღეს წარმოების მუშაკები გამოუშვებენ თითქმის ორმეოცი ათასი მანეთის პროდუქციას და ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 2 ათას მანეთს (საქინფორმი).

ავტოტრანსპორტის მუშაკებს ჯილდოები გადაეცათ

თბილისის № 2 საავტომობილო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა 1973 წლის მუშაობის მაჩვენებლებით გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა.

გაიმართა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული კოლექტივის საზეიმო კრება, რომელიც გახსნა პარტიულმა მდივანმა ს. ყუფარაძემ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა საწარმოს მუშებსა და მოსამსახურეებს მიუოცა მაღალი ჯილდო და საწარმოს დირექტორს გადასცა დროშა.

კრებაზე გამოვიდნენ მოწინავე მძღოლები სოციალისტური შრომის გმირი გ. ემნაძე, გ. შპიტიშვილი, ამწყობი ზეინკალი ჯ. ხოსროშვილი, ავტოკოლონის უფროსი ა. ჭიჭიკოშვილი, ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ს. ფანჩიკიძე. მათ გამოსვლებში, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1974 წლის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და პირნათლად გაანაღდებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საჭიხნო რაიონის პირველი მდივანი რ. გოგლიძე.

(საქინფორმი).

მწყობრშია ახალი სიმძლავრეები

თბილისი. № 3 საავეჯო ფაბრიკაში (დირექტორი ნ. ბებიაშვილი) მიმდინარე წლის დასაწყისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საწარმოო კორპუსი, სადაც დაიდგა ახალი მანქანა-დანადგარები. ფაბრიკა მთლიანად სპეციალიზებულია და უშვებს მხოლოდ სამზარეულო გარნიტურს, რომელიც მოპირკეთებულია პლასტიკატით. ახალი სიმძლავრეების მწყობრში ჩაყენებით პროდუქციის გაზრდამ 170 პროცენტით გაიზარდა.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო განმსაზღვრელი წელი. მეავეჯეებმა იანვრის გეგმა ყველა მაჩვენებლით შეასრულეს. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 2 პროცენტით გადააჭარბეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციისას — 3 პროცენტით. პროდუქციის მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გაზრდის ხარჯზე.

მეავეჯეებმა თებერვალში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და ორი თვის დავალება 26 რიცხვისათვის შეასრულეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან მუშები გ. ბედიაშვილი, ზ. კუსრაევი, ა. გაბროშვილი, რ. სარქისიანი და ა. გუსკოვი.

ხუთწლედის ფონდი

ტყიბული. (საკკორ.). მეშახტეთა რიგებს ბევრი რაციონალიზატორი და გამომგონებელი ამშვენებს. მარტო ლენინის სახელობის შახტში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 30 რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა, აქედან 14 წინადადება უკვე დანერგა წარმოებაში, რამაც სახელმწიფოს 47 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა.

მეტად საზრიანი გამოდგა სამთო ინჟინერების ვ. პატარიძის, ა. ჭარქაშაძის და ო. შამარდაშვილის ერთობლივი წინადადება. იგი ქვანახშირის შვიდჩარექილიანი ფენის ერთ ქვესართულად გამოღებას ითვალისწინებს. ამ წინადადების დანერგვით უკვე მიღებულია 19740 მანეთი მოგება. წარმოებს დიდი სიკეთე მოუტანა მეექვსე საექსპლოატაციო უბნის ნოვატორი მნგრეველის, კომუნისტ ს. ბირკაიას რაციონალიზატორულმა წინადადებამ. მან უბნის თავიდან ააცილა მესამე ფენის შეროს ძვირადღირებული და შრომატევადი აღდგენითი სამუშაოები, როცა წამოაყენა მეოთხე ფენის შეროდან გეზენკის გაყვანის თაკისებური, უფრო ეკონომიური ვარიანტი.

ორჯონიკიძის სახელობის შახტში ორ ათეულ წელზე მეტია ნაყოფიერად მოღვაწეობს ენთუზიასტი რაციონალიზატორი ს. ცოფურაძე. მან რეკონსტრუქცია გაუკეთა საშახტო ელმავლის სილის ჩასაყრელ მოწყობილობას. ამ ტექნიკურმა სიახლემ გაუმჯობესა მიწისქვეშა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა.

ქვანახშირის შახტებში ღღითიდღე იზრდება რაციონალიზატორთა რიგები.

რაციონალიზაციის სიკეთე

დაპირებას საქმით გავამართლებთ

თბილისი. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა ხუთწლედის მეოთხე წელს ვალდებულებათა გეგმის გადამეტებით უნდა მოახდინონ 31 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თბილისის კონიაკის ქარხნის დირექტორმა ო. რობაქიძემ, — ამ პირობის განაღდებაში ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი საწარმო. ვალდებულება ვიკისრეთ მიმდინარე წლის გეგმა 25 დეკემბრისათვის შეგასრულოთ. და დავალების გადამეტებით გამოვუშვათ 100 ათასი მანეთის პროდუქცია, სამშობლოს მივცეთ 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მასალების ყაირათიანად ხარჯვის გზით ერთ დღეს ვიმუშაოთ დაზოგილი მასალებით და გამოვუშვათ 1.000 დეკალიტრი კონიაკი.

მეკონიაკეებმა პირობის განაღდებლად ორგანიზებულად დაიწყეს მიმდინარე წელი. პროდუქციის რეალიზაციის იანვრის გეგმა 105,1 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციისა — 104,7 პროცენტით გაანაღდეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 209 ათასი მანეთის პროდუქცია. საწარმოს კოლექტივი ნაყოფიერად შრომობს თებერვალში. ორი დეკადის დავალება გადაჭარბებით აორის შესრულებული.

ხუთწლედის მოწინავენი

რწმუნების სიგელების გადაცემა

სსრ კავშირის ანდერძი

სებჰოლა კავშირში ჩამოსულმა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა აკირა სიბუმიცუმ 25 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის გადასცა რწმუნების სიგელები.

წარმოთქვა რა სიტყვა, ა. სიბუმიცუმ განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ წლებში იაპონიასა და სსრ კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობა ვითარდება პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში. ა. სიგეიმიცუმ აღნიშნა დადებითი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკებისა, რომელიც საბჭოთა კავშირში იაპონიის პრემიერ-მინისტრ ტანაკას ვიზიტის დროს გაიმართა, და დაასკვნა ეს მოლაპარაკება როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იაპონიასა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ ყოველ ღონეს იზამს იაპონიასა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

საპასუხო სიტყვაში ნ. ვ. პოდგორნინმ აღნიშნა, რომ მსოფლიოში მომხდარ პოზიტიურ ცვლილებათა საერთო ფონზე კეთილსასურველად ვითარდება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობაც. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარება, ამისათვის არსებული ბევრი შესაძლებლობის უფრო სრულად გამოყენებას ახალი იმპულსი მისცა საბჭოთა ხელმძღვანელების სასარგებლო და გულახდილმა საუბრებმა იაპონიის პრემიერ-მინისტრ ტანაკასთან. ნ. ვ. პოდგორნინმ თქვა: საბჭოთა კავშირი ესწრაფვის იმას, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა იყოს ნამდვილად კეთილმეზობლური, ემყარებოდეს მტკიცე და ხანგრძლივ საფუძველს. ურთიერთსულსაყრელი ხასიათი აქონდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, განაგრძო ნ. ვ. პოდგორნინმ, რომ სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის სწორედ ასეთი განვითარება შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, ყველა იმათ ინტერესებს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და უშიშრობა აზიასა და მთელ მსოფლიოში.

სიტყვების გადაცემისა და ნ. ვ. პოდგორნინის და ა. სიბუმიცუს სიტყვების შემდეგ გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

სახელოვანი წლისთავი

მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა 25 თებერვალს აღნიშნეს რეაქციაზე ჩვეხოსლოვაკიის მშრომელთა გამარჯვების 26-ე წლისთავი.

საღამოზე გამოსულმა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოძმე ჩეხოსლოვაკიის, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილი გახდა, თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებაში, მშვიდობისათვის საერთო ბრძოლაში.

1948 წლის თებერვლის დაუვიწყარი დღეების შესახებ საღამოზე მეკრებილი ესაუბრა მათი უშუალო მონაწილე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ია გაველა. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, ქვეყნის მშრომელები თავიანთ ბრძოლაში ეყრდნობოდნენ და ეყრდნობიან საბჭოთა ქვეყანასთან კავშირსა და მეგობრობას. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი** 26 თებერვალს მიხვდა და ესაუბრა თბილისში მყოფ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს, რომლებსაც მეთაურობს **ფერენც კარპატი.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იგი გულთბილად მიესალმა უნგრელ მეგობრებსა და მათი სახით მოძმე უნგრელ ხალხს, ყოველივე საუკეთესო უსურვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან იანოშ კადარსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს.

ჯ. დ. ჯავახიშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო მუშაკებთან მუშაობის გამოცდილების გაზიარება ორმხრივ სარგებლობას მოუტანს ხელს შეუწყობს საბჭოთა და უნგრელი ხალხების, ურთიერთ მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.

უნგრელ ამხანაგებს გააცნეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან „გამმდინარე ამოცანები, რომლებსაც ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობრივ წევრებენ რესპუბლიკის მშრომელები. შემდგომ ჯ. დ. ჯავახიშვილი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსულ მეგობრებს ესაუბრა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ-ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაზე, აღნიშნა, რომ ეს დადგენილება, მკაფიოდ მოწმობს, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავენ პარტია და მთავრობა მოკავშირე რესპუბლიკების აყვავებისათვის.

საქართველოში ყოფნის დროს, თქვა **ფერენც კარპატმა,** გავიცანით ქართველი ხალხის აღმშენებლობის შრომას, რომელიც ობრიელებს სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობებს. ჩვენს ხალხსა და საბჭოთა ადამიანებს საერთო მიზნები აქვთ. დღეს მთავარი ჩვენი ამოცანა ის არის, რომ შეგასრულოთ ჩვენი ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმები. საბჭოთა გამოცდილების გაცნობა ხელს შეგვიწყობს ამ ამოცანის გადაწყვეტაში.

სახელმწიფო მდივანმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამმართველოს თავმჯდომარემ **ლაიოშ პაპმა** აღნიშნა, რომ იგი და მისი ამხანაგები თვალსაჩინე დარწმუნდნენ, თუ რა დინამიკურად ითარდება საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკა, ჩვენ გულწრფელად გეახარებს თქვენი წარმატებანი; განაცხადა სტუმარმა.

ლიოშ პაპმა ილაპარაკა, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობის დირექტივების განხორციელებაში.

საუბარს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი **ფ. ა. ანანიაშვილი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ნ. ციციშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **ზ. გ. ახვლედიანი,** რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. ს. მაქელაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე **გ. ლ. ხუნდაძე.** (საქინფორმი).

მსუბუქი სახლები

კუიბიშევი. (საკდესის კორ.). ახალი სერიის ხუთსართულიანი სახლები, რომელთაგან თვითეული ამბით ტონით მსუბუქია ჩვეულებრივზე, აშენდა კუიბიშევის თანამგზავრ ქალაქ ნოვოკუიბიშევსკში. ისინი დამონტაჟებულია კერამზიტბეტონის პანელებისა და სხვა დეტალებისაგან.

ამ საშენი მასალის გამოყენების შედეგად, სადაც ტრადიციული ქვიშა შეცვლილია კერამზიტის ქვიშით, დაიზოგა დიდძალი ცემენტი და არმატურის ფოლადი. გაიოლდა შენობების მონტაჟი. ახალ სახლებში დაბალია კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება, თუმცა მათ უკეთესი დაგეგმარება აქვთ. ისინი უფრო კომფორტულია.

ახლა მშენებლები ემზადებიან 9 და 16 სართულიანი დიდბინელიანი სახლების აშენებისათვის.

მოლდავურ და ყაზახურ ენებზე

კიშინიოვი, 26 თებერვალი. (საკდესის კორ.). კიშინიოვის გამომცემლობა „კარტია მოლოდოვენიასკემ“ მოლდავურ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრე

მცარი დავუჭიროთ ყაზაღეთის, ბელორუსიისა და როსტოვის ოლქის მექანიზატორთა თაოსნობას!

მივაღწიოთ ტექნიკის დიდწარმოებლობას

მკვეთრად გავაუმჯობესოთ ტექნიკის გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ მექანიზატორთა კადრების მოამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ტრაქტორებისა და კომბაინების ორცვლიანი მუშაობის უზრუნველყოფას, ნაწილა-ტრაქტორთა პარკის რემონტის ხარისხის ამაღლებას, ტექნიკური მოვლახურების გაუმჯობესებას, მანქანებისა და მექანიზმების სამახახურის ვადის გაზრდას — აი რა არის მთავარი.

ლიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს უსახავს 1974 წელი, ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი, რესპუბლიკის ხოფლის მშრომელებს. ბუნებრივია, რომ ამ ამოცანების წარმატებით შესრულება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვემზადებით გაზაფხულისათვის. როგორ გამოვიყენებთ რეზერვებსა და საშუალებებს. ტექნიკასა და სათესლე მასალას საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩასატარებლად. ბადმუყეტი სიტყვა ამ საქმეში ეკუთვნით მექანიზატორებს, სპეციალისტებს, ტექნიზატორები მოვალენი არიან მხად იქონონონ ტექნიკა ზაზაფხულისათვის. ამისათვის საჭიროა, რომ სოფლადმიმრეკი მეურნეობების სპეციალისტებმა. ხელმძღვანელებმა ჯერეოვანი ყურადღება მიაქციონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის მზადყოფნას. განსაკუთრებით კი ტექნიკის დროულ და მაღალხარისხოვან რემონტსა და ზამთრის პერიოდში შენახვის სწორ ორგანიზაციას. ყაზაღეთის, ბელორუსიისა და როსტოვის ოლქის მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას ყველა მექანიზატორი უნდა გაეცნოს და აქედან სათანადო დასკვნები გაკეთოს.

ცნობილია, რომ საგარეჯოს რაიონის მექანიზატორებმა გასული წლის ნოემბერში იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. რომ ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეკეთონ ტრაქტორები, კომბაინები, ავტომანქანები. ნიდაგის დასამუშავებელი და სათესი აგრეგატები და რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მოუწოდეს დროულად მოემზადონ ხუთწლედის მეოთხე წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროვადებში ჩასატარებლად.

საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მექანიზატორები, ნოიტელწყაროს, ციხისღიის, ყვარლის, ბოგდანოვკის, მცხეთის, ზუგდიდის, ხესტაფონის, ვანის, ჯობის, ბაბაშის, აჯარის ასსრ და სხვა რაიონების მექანიზატორებმა ვალდებულება აიღეს ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები შეაკეთონ გაზაფხულისათვის, ხოლო კომბაინები — 1 მაისისათვის. მიღებულ ვალდებულებებში გათვალისწინებულია აგრეთვე რემონტის ხარისხისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესება, რემონტის თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერებისა და ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტის გაზრდა, ტექნიკური მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვა თვით საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების დროს. ვალდებულებებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საშემოდგომო სამუშაოებისაგან გამოთავისუფლებული და შეკეთებული ტექნიკის ხანგრძლივი შენახვის სწორ ორგანიზაციას.

როგორია მიღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა? როგორ მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეურნეობებში ტექნიკის რემონტი და შენახვა?

უნდა აღინიშნოს, რომ რაიხალკომების ხოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ხოფლტექნიკის რაიონული განყოფილებების მექანიზატორებმა, სპეციალისტებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა გააკეთეს სწორი დასკვნები და აზაფხულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი და გაზაფხულისათვის მზადება მიმდინარეობს ძირითადად დამაკმაყოფილებლად. ამაზე მეტყველებენ გასული წლის მეოთხე კვარტალისა და იანვრის შედეგები.

დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს იარაღ-მექანიზმების რემონტი საგარეჯოს, ხიღნაღის, ყითელწყაროს, ყვარლის, ზესტაფონის, ბაბაშის, ზუგდიდის, ხობის და სხვა რაონების კოლმეურნეობებში.

ხიღნაღის რაიონის მაღარის კოლმეურნეობაში ნავალად მეოთხე კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 3 ტრაქტორისა შეკეთდა 6, ნაცვლად 4-ისა 5 სატვირთო ავტომანქანა, გუთანი ნაცვლად 2-ისა შეკეთდა 4, ექ კულტივატორები და სათესები შეაკეთეს მიმდინარე წლის ანგარიშში. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის ბოდბისა და ძველი ანაგის კოლმეურნეობებში.

მაგრამ არასწორი იქნება დავსაკნაო, რომ ყველგან და ყველაფერში რიგზეა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადების საქმე. გასულ წელს თესვისა და საგაზაფხულო კულტურების დამუშავების აგროტექნიკური ვადების დარღვევის შედეგად, რაც გამოწვეული იყო ტექნიკის გამოუყენებლობით. ზოგან შესაძლებელზე მცირე მოსავალი მიიღეს. მიმდინარე ხეზონშიც საჭიროა ყურადღება არ უქცევა ტექნიკის მომზადებას რესპუბლიკის მთელ რიგ რაონებში.

ადგილობრივი ხასოფლო-სამეურნეო ორგანოების არასაკმარისი მუშაობის შედეგად 1 თებერვლისათვის ტრაქტორების რემონტის გეგმების შესრულება არადამაკმაყოფილებელია დუშეთის, თეთრი წყაროს, დმანისის, ვანის. მასარაძის, აფხაზეთის ასსრ და სხვა რაონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. დაბალია იარაღ-მანქანების მომზადების დონე ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ონის. ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, სამტრედიის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში. აქ, მაგალითად, სათესების, კულტივატორების მზადყოფნის პროცენტი გაცილებით დაბალია, ვიდრე საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი.

ბევრი რაიონის კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ტექნიკის ზამთრის პერიოდში შენახვის სწორ ორგანიზაციას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქხოფლტექნეთამხედველობის“ ინსპექციის მიერ ჩატარებულმა წლიურმა ტექნიკურმა დათვალიერებამ, რომელიც მოიწყო ვასული წლის დასასრულს, გამოავლინა ტექნიკის შენახვის წესების დარღვევის მრავალი ფაქტი. მაგალითად, თელავის რაიონის კოლმეურნეობებში წესების დარღვევით ინახებოდა 10 ტრაქტორი, 4 მარცვლის კომბაინი, 2 სასილოსე კომბაინი, 5 სათესი. ახეთ დარღვევებს ადგილი ჰქონდა გულგულის, აკურის, ჯუდაანის, კურდღლაურის კოლმეურნეობებში, ყარაჯალის ეთერ-ზეთების, კისისხევისა და წინანდლის საბჭოთა მეურნეობებში. ოჩამჩირის რაიონში წესების დარღვევით ინახებოდა 25 ტრაქტორი, 18 გუთანი, 6 სათესი, 10 კულტივატორი, 2 ჩაის საკრეფი მანქანა. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონებშიც. ამის შედეგად ტრაქტორები და მისაბმელი იარაღ-მანქანები ნაადრევად გამოსულია მწყობრიდან. განკომპლექტებულია. მაგალითად, წალკის რაიონის კოლმეურნეობებში ჯანკომპლექტებულია 3 ტრაქტორი, ჩოხატაურის რაიონში განკომპლექტებულია 2 მარცვლის სათესი, 1 კულტივატორი, 1 ხატრაქტორო სათიბი.

უნდა აღინიშნოს ის შეუფერებელი ფაქტიც, რომ თვით რაიონის კოლმეურნეობებმაც, რომლებმაც იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, ნაკლები შრომა გასწიეს მათი განაღდებისათვის. მართალია, საგარეჯოელმა მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორების რემონტის გეგმა, მაგრამ სათესების, კულტივატორების, სათიბების და სხვა იარაღების შეკეთების პროცენტი დაბალია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე. ანალოგიური მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა რაიონებში, ხოლო ბოგდანოვკისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებმა, სადაც აგრეთვე მიღებულია გადიდებული ვალდებულებანი, ვერ შეასრულეს ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა და ახლაც ჩამორჩებიან.

კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობების სამმართველოების, „საქხოფლტექნეთის“ რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, მექანიზატორებმა ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ ტექნიკის რემონტის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, აამოქმედონ არსებული რეზერვები ტექნიკის დროულად მომზადებისათვის. მათ დიდ დასმარებას გაუწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომლითაც მოწონებულია საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა ინიციატივა. ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, პარტიისათვის ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა სახელმძღვანელო, საპროგრამო დოკუმენტი იქნება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რესპუბლიკურ კავშირთა „საქსოფლტექნიკას“ დავალებული აქვს შეამზადონ, თუ როგორ ასრულებენ მექანიზატორები ნაკისრ ვალდებულებებს საგარეჯოს რაიონსა და რესპუბლიკის ორ სხვა რაიონში, რომლებმაც მხარი დაუჭირეს თაოსნობას, და შედეგები მოახსენონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. სამინისტროებს, „საქსოფლტექნიკას“ გადაწყვეტილი აქვთ აგრეთვე ანალოგიური შემოწმება მოაწყონ სხვა რაიონებშიც.

ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, მექანიზატორებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ სანიმუშოდ მომზადდეს ტექნიკა და მაღალხარისხოვნად შეასრულონ საგაზაფხულო სამუშაოები ბინდრეგნში, ბაღ-ვენახებში, ფართოდ დანერგონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კომპლექსური მექანიზაცია.

ბ. ბიბიაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი; **თ. გაჩიჩილაძე** — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამმართველოს უფროსი; **პ. ჯაში** — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რემონტისა და საწარმოო ტექნიკური მომსახურების სამმართველოს უფროსი.

„საქართველოს კომუნისტი“ № 2

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეორე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების ზრუნვა — ხალხის ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: მორნავე — განმსაზღვრელი წელი; შ. თეთვაძის — მინიპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების განმტკიცების გზით; ნ. პაიკაძის — შრომის ნაყოფიერების ზრდა — დიდმნიშვნელოვანი პრობლემა; გ. ვაჩნაძის — ფილოსოფიურ ძრძოლა თანამედროვე მსოფლიოში; — რ. ავალიანის — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და თანამედროვე ბიოლოგიის ზოგიერთი პრობლემა; ო. ვაშაკიძე — საზოგადოებრივი სექტორი დამხმარე მეურნეობის როლში? საქართველოში საოლქო მეურნეო წარმოების განვითარების ზეფერხების მიზეზები და მდიდარი, აუმოქმედებელი რეზერვები; გ. მეფიხაშვილი — შუშა კორეულპონდენტი ჩვენი დასაყოდენია; ვ. ჯიქია — საშუალო სკოლის ახალი ამოცანები და სხვ.

„ კომუნისტი“
№ 2 გვერდი, ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 1974 წ.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲚᲯᲘᲡ

ინიციატორი რეზერვებს ეძებს

ვ. გეგეშიძის ბრიგადამ შარშან გეგმის გადამეტებით 101 ათასი მეტრი ხამი აბრეშუმის ძსოვილი გამოუშვა

ნარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების ძიებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხაწარმოო ზონის გაფართოებას. ინდივიდუალური შეჯიბრების მონაწილის ოსტატობასა და ენთუზიაზმზე დამყარებული ეს პროგრესული ღონისძიება მეტად დიდ ეფექტს იძლევა, თუ მას ყოველმხრივ განვაზოგადებთ და გავავრცელებთ. ამ საქმის მოთავედ შარშან თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ვ. გეგეშიძის ბრიგადა გამოვიდა. ეს შრომითი კოლექტივი გაფართოებული ზონის მომსახურებას როდი დაჯერდა. ბრიგადის თავკაცმა წინადადება წამოაყენა შესვენება მოეწყოთ რიგრიგობით და დაზგები ემუშავებინათ გაუჩერებლივ. ამ ინიციატივის დანერგვამ დიდი ეკონომიური ეფექტი გამოიღო. როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურმა კომისიამ მოიწონა ვ. გეგეშიძის ეს თაოსნობა.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში უწყვეტი გრაფიკით მუშაობის ინიციატივა რომ დაიბადა, ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა მის მომავალს, რადგან მისი წამომწყები ვ. გეგეშიძის ბრიგადა საქსოვი საამქროს ბენემატერი დაზგების უბანზე შრომობდა, ბენემატერი დაზგები კი არც ისე ბევრია გაერთიანებაში.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ვ. გეგეშიძის ბრიგადის ინიციატივა, რომელიც გაფართოებული ზონით მუშაობის უწყვეტი, ანუ, როგორც თვითონ მქსოველები ამბობენ, „მეოცეული“ გრაფიკით შესვენებას ითვალისწინებს, მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება გამოდგა.

რას წარმოადგენს და რა შედეგი მოიტანა ვ. გეგეშიძის ბრიგადის თაოსნობამ? საწარმოებში შესვენების დრო, როგორც წესი, განსაზღვრულია და გარდა იმისა, რომ მუშას საღილობის შესაძლებლობა ეძლევა, მას გარკვეული მასტიმულირებელი მნიშვნელობაც აქვს. და რაკი მუშა ისვენებს, ცხადია, ჩერდება მანქანებიც. ქვეოსტატმა ვ. გეგეშიძემ სწორედ შესვენების ხანაზე შესალო მანქანების მოცდენის შემცირება.

ბრიგადაში მაშინ სამი მქსოველი იყო: ლოლა ქანკოტაძე, ეგვენია ფალავანდიშვილი და მარინე ჩადუნელი. რიგრიგობით მიდიოდნენ ისინი შესვენებაზე. ლოლა რომ საღილობდა, მის 13 მანქანას კოლეგები ამუშავებდნენ და ა. შ. სულ ბოლოს ქვეოსტატი ისვენებდა.

პირველად ასე მუშაობა გაუჭირდათ. ეს არც არის საძარცხესი, რადგან მქსოველები ისეოდაც გაფართოებული ზონით მუშაობდნენ, ნორმით გათვალისწინებული 8 მანქანის ნაცვლად 13 მანქანას ემსახურებოდნენ. მაგრამ გადაწყვეტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ.

ახლა, როცა ახლებურად მუშაობის გამოცდილება დაუგროვდა და პირველი სიძნელეებიც გადალახულია, მქსოველები ანალიზს უკეთებენ თავიანთ შედეგებს და ახალ რეზერვებს ეძებენ, მიდწეულს აღარ ხჯერდებიან, თუმცა, ჩვენი აზრით, მათს ინიციატივას ისეთი მნიშვნელოვანი წარმატება მოჰყვა, რაც აქამდე არც ერთ ინიციატივას არ მოუყოლია. ბრიგადის წევრებმა მანქანებიან სრული დატვირთვით ყოველთვიურად შვიდი ხაათი დაზოგეს და ცვლაში თვითეულ მანქანაზე ოთხი მეტრით გაადიდეს ქსოვილის გამოშვება.

გბირაძის, თავდადების ნამდვილი მაგალითი აჩვენეს შარშან ბრიგადის წევრებმა — გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 101 ათასი მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი და გეგმით გათვალისწინებული 58,3 პროცენტის ნაცვლად 62,5 პროცენტამდე გაზარდეს პირველი ხარისხის ნაწარმის დამზადება.

მაგრამ მიღწეული მქსოველთათვის ზღვარი როდია. ინიციატორი ქვეოსტატი ვ. გეგეშიძე და ბრიგადის ახლანდელი ორი წევრი ლოლა ქანკოტაძე და თამარ ინანიშვილი პროდუქციის გამოშვების გადიდების ახალ რეზერვებს ეძებენ.

ახლა ბრიგადაში ერთი წევრი აკლიათ, მაგრამ მანქანები როდი ცდება. მქსოველებს ყველაფერი ზუსტად აქვთ ვაანგარიშებული. ქვეოსტატი ალარც კი ერევა მქსოველთა დასვენების განაწილებაში, ლოლამ და თამარმა თვითონ იციან, როდის უნდა დასვენონ. აღრე ამას მხოლოდ ქვეოსტატს ნებართვით აკეთებდნენ. თვით ქვეოსტატი მთლიანად მანქანების შეფერხების გამოსწორების საქმეს ანდომებს სამუშაო დროს. მას უყვარს ხოლმე თქმა: გაკვეთილი დეტალს სანამ გატეხდებოდეს, შანამდე უნდა გამოცვალო, თორემ მერე გვიან იქნება. ვ. გეგეშიძე მანქანების დეფექტების წინასწარ პროფილაქტიკას სავსებით სწორად თვლის წარმატების ერთ-ერთ მთავარ რეზერვად. ვერ ნახავთ, რომ უბანზე, რომელიმე მანქანა მისი მეზობლით არ მუშაობდეს.

ბრიგადაში მინიმუმამდეა დაყვანილი მოცდენები, არ ყოფილა სამუშაოზე დაგვიანების არც ერთი შემთხვევა.

— მართალია, რეფული დაკვალება გვაქვს, მაგრამ ეთოდად შეასრულებთ, — თქვა ჩვენთან საუბარში ვ. გეგეშიძემ. — ახალ არტიკულზე სულ 24 მანქანა უნდა გადავიყვანოთ, 16 მანქანა უკვე ავამუშავეთ...

— დაკვალება თითქმის შეგისრულებიათ...

— ჯერ არა, — გაიღიმა ქვეოსტატმა, — აკეტატური ქსოვილის სტრუქტურა მეტად რთულია, ძველთან შედარებით მის ყოველ ეორთ კვადრატულ სანტიმეტრზე 4 ძაფით მეტი მისაქსელი მოდის. ეს უკვე ქსოვის პროცესში დამატებით ელემენტის შეტანას და მანქანის დატვირთვის გადიდებას მოითხოვს, თორემ პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი შემცირდება. ახალ ქსოვილზე მუშაობის მეთოდში სიახლე რომ არ შეეტანათო და მუშაობა ძველებურად გავაგრძელოთო, საათში დაახლოებით 1 მეტრ ქსოვილს დავკარგავთ, ამდენად რთული სტრუქტურა აქვს ახალ ქსოვილს...

ქვეოსტატი მანქანების რიგში შეგვიძლია.

— აბა ერთი ლაკვირდით, — გვითხრა მან, — თუ ამჩნევთ რაიმე [illegible] მანქანაზე მიგვითითა, ორივე მეტ [illegible]

— ეი ეს იქნება ჩვენი მთავარი რეზერვი, — განაგრძო ქვეოსტატმა, — ყოველ პნევმატურ მანქანაზე ვეიმით საათში 5,5 მეტრი ქსოვილი უნდა დავამზადოთ, მაგრამ ეს მაჩვენებელი „მეოცეული გრაფიკით“ დასვენების შემოღებით შარშან ნახევარი მეტრით გავადიდეთ. ახლა ეს აღარ არის საკმარისი, რადგან აკეტატური ქსოვილის დამზადების ნორმა ყოველ პნევმატურ მანქანაზე საათში 5 მეტრია, ამას ადვილად მივაღწევთო, მაგრამ ერთი მეტრი ქსოვილი როგორია ავანაზღაურო? ეს ხომ ვალდებულებით გვაქვს გათვალისწინებული და პირობას ვერ გავტეხთ. ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვეზარდა მანქანების ბრუნვის სიჩქარე...

ვ. გეგეშიძის ბრიგადის უბანზე მანქანების 40 პროცენტი შავე „ბაზრული სიჩქარით“ მუშაობს. თუ ამამდე წუთში 200 ბრუნით მუშაობდნენ, ახლა თვითეულ მანქანას წუთში 50 ბრუნი მოუმატეს. მქსოველები ამით ფიქრობენ დაძლიონ ახალი ქსოვილის რთული სტრუქტურით გამოწვეული სიძნელეები და გამამარჯვებლობის ბელმძღვანელობის ნდობა. რომელმაც მათ ასეთი დიდი საქმე დაავალეთ.

— ცხადია. ჩვენი საერთო წარმატება ბრიგადის მუყაითი მქსოველების თავდადების შედეგია, „უწყვეტი გრაფიკით“ დასვენება ოდენი საქმე როდია, — თქვა ვ. გეგეშიძემ, — ეგი მალალ ბასუხისმგებლობას, მაღალ შეგნებას მოითხოვს. მე მიხარია, რომ ბრიგადის წევრების შესაძლებლობანი ამოიწურავია.

სწორედ ამიტომ არის, რომ ვ. გეგეშიძის ბრიგადას მიმდევრებიც ყავს. ახლა გაერთიანებაში ცხრა ბრიგადა შრომობს მაქსიმალურად გაფართოებული ზონით, მუშაობაში იყენებს ვ. გეგეშიძის ბრიგადის „მეოცეული გრაფიკით“ დასვენების გამოცდილებას. მოწინავეთა შორის არიან ის ბრიგადები, რომლებსაც ს. აბრამიძე, თ. აბესაძე, ა. რამიშვილი ხელმძღვანელობენ.

უხარიათ ინიციატორებს, რომ შარშან გაერთიანებამ გეგმის გადამეტებით დამზადებული 142 ათასი მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილის დიდი წილი მათზე და მათ მიმდევრებზე მოდის.

რ. ჰელიძე.

სურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნოვატორთა ბრიგადა: მარცხნიდან — მქსოველები ლოლა ქანკოტაძე, თამარ ინანიშვილი და ქვეოსტატი ვახილ გეგეშიძე.

ხ. ბილაძის ფოტო.

ᲞᲝᲡᲢᲜᲘᲚᲐᲜ—ᲓᲐᲮᲚᲐᲛᲓᲔ

ᲛᲔᲪᲘ ᲒᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲓᲠᲝ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲐ

□

ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲠᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲠᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲠᲐᲚᲐᲠᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑ

ამბები • ფაქტები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

მსოფლიო დღეს

მეხიკო

მოითხოვენ ამერიკის ქვეყნების სისტემის გადასინჯვას თანასწოროობის პრინციპებზე

ვაშინგტონი

ᲔᲥᲔᲑᲔᲜ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲚᲬᲔᲕᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ.

კაირო

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲡᲣᲔᲪᲘᲡ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

ჰოლანდია

მეწარმეთა წინააღმდეგ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Ქ. ᲣᲘᲜᲓᲮᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲜᲓᲘᲢᲠᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ „ᲙᲔᲛᲞᲔᲜᲚᲐᲜᲓᲘᲡ“ 200 ᲛᲣᲨᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲙᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲧᲘᲓᲝᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜ „ᲛᲐᲜᲔᲑᲐᲡ“. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲑᲚᲝᲙᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ. ᲓᲐᲠᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲓᲐᲠᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲓᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲔᲗᲮᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲗᲮᲜᲘᲗᲛᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲛᲐᲗᲡ ᲛᲗᲚᲔᲚ ᲠᲘᲒ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ — ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲐᲠᲗᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲪᲐᲪᲘᲔ ᲑᲔᲚᲛᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲜᲯ-ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

უცხოეთის პრესიდან

ბრეჟნევი ჰერეკიანი ... ბელი

ᲙᲐᲠᲘ ᲐᲘᲖᲛᲐᲜᲛᲐ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ, ᲓᲐᲛᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲜᲚᲝ ᲬᲔᲠᲘᲡ, ᲓᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

საქართველოს ქალაქებში

რუსთავი

ᲗᲔᲛᲐ — ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ, ᲥᲘᲛᲘᲙᲘᲡᲘ...

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ, ქიმიკოსთა, მშენებელთა სისხლხავსე ცხოვრებას მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები მწერლებმა ა. ბელაშვილმა, ს. თავაძემ, გ. ფანჯიკიძემ, კ. მუმლაძემ და სხვებმა.

ახლახან ქალაქის № 1 ბიბლიოთეკამ მოაწყო მუდმივი გამოფენა — „რუსთავის წარსული, აწმყო და მომავალი". გამოფენაზე წარმოდგენილია თითქმის ყველა წიგნი თუ ბროშურა, მიძღვნილი სახელოვანი რუსთაველი მშრომელებისადმი.

ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მეტალურგთა ქალაქს ეწვივნენ ოსი მწერლები და პოეტები, მათთან ერთად იყვნენ ლიტერატურისა და ხელოვნების თბილისელ მოღვაწეთა წარმომადგენლები. სტუმრებს შეხვედრა მოუწყეს მშრომელებმა. ქალაქის საწარმოები რომ დაათვალიერეს, სტუმრად ჩამოსულმა ოსმა პოეტებმა სალამოზე წაიკითხეს ლექსები, ილიპარაკეს თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე. ნიშნად მარადიული მეგობრობისა, სტუმრებმა მასპინძლებს საჩუქრად გადასცეს ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის, კოსტა ხეთაგუროვის ბიუსტი.

ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ

20 **ᲬᲔᲚᲘᲐ** რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სარატად მუშაობს ანატოლი ვინოგრადოვი. იგი დეკორატიული თევზების მოშენების უბადლო ოსტატია არის. მისი აკვარიუმის სანახავად, რომელიც მოთავსებულია მეგობრობის პროსპექტზე მდებარე № 4 სასლში, საიდან არ მოდიან მოსწავლეები და პიონერები, ბუნების მოყვარულები. ორიგინალურად და ლამაზად მოწყობილ აკვარიუმებში ა. ვინოგრადოვს მოშენებული ჰყავს ტროპიკული ქვეყნების 80 სხვადასხვა ჯიშის თევზი.

ამას წინათ თბილისში მოეწყო თევზისმოყვარულთა აკვარიუმების გამოფენა, რომელზეც ა. ვინოგრადოვმა პირველი ადგილი დაიკავა.

ᲐᲖᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲑᲔᲕᲠᲘ რაციონალიზატორა და გამომგონებელი ჰყავს ქიმკომბინატის კოლექტივს. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მათ წარადგინეს 511 წინადადება, რომელთაგან 404 უკვე დანერგა წარმოებაში. ყოველივე ამან 575 ათასი მანეთის ეკონომია მისცა წარმოებას.

ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

20 **ᲬᲔᲚᲘ** გავიდა მას შემდეგ, რაც მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა კოქსქიმიური საამქრო. ამ დღეებში წითელ კუთხეში შეიკრიბნენ საამქროს ინჟინერ-ტექნიკოსები და საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს თავიანთი იუბილე.

ეამაყებათ კოქსქიმიკოსებს, რომ ახინი მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, ზრდიან სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲚᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მარჯვენა ნაპირის დასახლებაში — მეოთხმეტე მიკრორაიონში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ბაგა-ბაღის ახალი შენობა.

ბაგა-ბაღს აქვს კვების, საძინებელი და სამეურნეო-ადმინისტრაციული კორპუსები. ეს სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის რიგით ოცდამერვე დაწესებულებაა.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲓᲘᲓᲘ ყურადღება ექცევა მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ერთდროული დასმარების მიზნით მშენებელ-მემონტაჟელებზე გაცემულია 5.600 მანეთი. ტურისტული საგზურით ისარგებლა 13 მუშამ. სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებში დაისვენა და ორგანიზმი გაიკაჟა 235-ზე მეტმა კაცმა.

ზ. ᲛᲔᲠᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: რუსთავის ერთ-ერთი საცხოვრებელი უბანი.

გ. ᲯᲐᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.) ავტოქარხნის ეეჩაზე დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი ავტობაზის მშენებლობა. იგი დაიკავებს 4,5 ჰექტარ ფართობს და გათვალისწინებულია 250 სატვირთო ავტომანქანისათვის.

ავტობაზის კომპლექსში, რომელსაც ააგებენ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისაგან, შედის სამმართველო, სარემონტო სახელოსნოები, სასადილო, მექანიზებული სამრეცხაო, საბურავების შემეკეთებელი სახელოსნო და მთელი რიგი სხვა დამხმარე ნაგებობანი.

□

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ პოლონურმა ჟურნალმა „შიაზნმა" თავისი მკითხველებისათვის მოაწყო კონკურსი-გამოცდა პოლონური ენის შესწავლაზე. ჟურნალის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა კონკურსში გამარჯვებულთა სია, მათ შორის არის თბილისელი ინჟინერი ალექსი გერშტენბლიტი.

აღსანიშნავია, რომ ეს თბილისელი ინჟინერის პირველი ჯილდო რიგია. მან ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში მოწყობილ პოლონეთის სარეწველო გამოფენაზე გაბარულ კონკურსში — „ვინ უკეთ იცნობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას" — დაიმსახურა ბრილის თასი.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ძირითადი საკითხების ცოდნის პროპაგანდის მიზნით თელავში შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია ასზე მეტი მსმენელი. სახალხო უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცებულია ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი თ. ჩოთალიშვილი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას — გაიმართა პირველი ლექციები. სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით, ლექციების წასაკითხავად გარდა ადგილობრივი ლექტორებისა, დროდადრო მოწვეული იქნებიან საქართველოს სსრ სახელმწიფო ფიზიკურ კულტურის ინსტიტუტის ლექტორები.

გეგმის მიხედვით სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებისათვის ლექციების გარდა მოეწყობა პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, საჩვენებელი სპორტული ჯამოსვლები, შეხვედრები გამოჩენილ მეცნიერებთან, ცნობილ სპორტსმენებთან და სხვ.

სახალხო უნივერსიტეტის სამუშაო გეგმა და პროგრამა გათვალისწინებულია ორწლიანი სწავლებისათვის.

Ა. ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის საქალაქთაშორისო სატელეფონო პუნქტში დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს საქალაქთაშორისო ტელეფონები: „ახალციხე-თბილისი" და „ახალციხე-ბორჯომი".

ახლა აქაურებს ბევრი ლოდინი აღარ სჭირდებათ რუსპუბლიკის დედაქალაქსა და კურორტ ბორჯომში ტელეფონით დასაკავშირებლად.

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის დიდ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ელისო მაყაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

მხატვარს მოისმენენ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე. ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა მხატვარი ქალის მიმართ.

დარბაზში ძირითადად გამოფენილია პორტრეტული ხასიათის ნამუშევრები, ეტიუდები, პეიზაჟები, კარიკატურები.

მხატვარი მთელი თავისი შემოქმედებით საქართველოს მომდერალია.

გამოფენა უკვე დათვალიერა ხელოვნების ბევრმა მოყვარულმა და თაყვანისმცემელმა.

ლ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ.



ᲖᲣᲡᲢᲘ ᲒᲐᲖᲝᲛᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲔᲑᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მექანიკური სიდიდეების გაზომვის ავტომატიზაციის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ დემურიშვილი, საინტერესო მუშაობას ეწევა.

პიეზოაქსელერომეტრული გარდამსახების ხეტყორში, რომელსაც სათავეში უდგას ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გურამ მუჩაიძე, საბჭოური გარდამსახების კვლევა თანამშრომლების მიერ შექმნილ დანადგარზე წარმოებს, რომელიც ზუსტად და უტყუარად ზომავს ვიბრაციის პარამეტრებს და უზრუნველყოფს გაზომვის ერთიანობას. ჯგუფმა, რომელიც დარტყმის პარამეტრების გაზომვაზე მუშაობს, დაამუშავა II თანრიგის დარტყმების შესამოწმებელი დანადგარი.

□

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: დანადგარი გარდამსახების გამოხაკვლევად; უფროსი ინჟინერი იზოლდა ცაავა და ინჟინერი თამარ ფრუიძე იკვლევენ პიეზოაქსელერომეტრული გარდამქმნელების განივ მგრძნობიარობას.

მ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲣᲗᲐ-ᲑᲐᲖᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲞᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲧᲐᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲙᲘᲠᲚᲝᲕᲝᲓᲚᲐᲙᲘ, 26 თებერვალი (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ. გ. მაკავარიანი). მეშვიდე ტურში ნ. ალექსანდრია ხვდებოდა ლევიტინას. გათამაშდა სიცილიური დაცვა. მე-12 სვლაზე დაფაზე გაიცვალა ლაზიერები, რასაც მოჰყვა რამდენიმე მსუბუქი ფიგურის გაცვლა. დაიწყო ორმხრივი პოზიციური მანევრირება. მალე ალექსანდრიამ მიიღო მცირე უპირატესობა, რაც მოგებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მეტოქეები დაზავდნენ 35-ე სვლაზე.

კონსულოვა-შულის პარტიაში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორმხრივ ციტნტაში კონსულოვას გამორჩა ტაქტიკური მუქარა, უფიგურად დარჩა და მალე დანებდა კიდეც მეტოქეს.

შვიდი ტურის შემდეგ ალექსანდრიას 5 ქულა აქვს, ლევიტინასა და შულს — ოთხ-ოთხი, კონსულოვას — 1.

27 თებერვალს ალექსანდრია თეორებით ხვდება შულს.

ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔ

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ფალავანთა კლუბში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომლის სტარტზე გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, მახარაძის, ცხაკაიას, ჭიათურის, თერჯოლის და ხაშურის 130-ზე მეტი მოჭიდავე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს: თ. ხატიაშვილმა, გ. კახელიშვილმა (ორივე — თბილისი), ი. ზელილოვმა (სოხუმი), ი. ჯუღელმა, ა. ამრიამაშვილმა, ი. მელქაძემ, ნ. ლეჟავამ, თ. მაჭავარიანმა, მ. სალაძემ და ნ. მირაქოვმა (ყველა — თბილისი).

დ. ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ,
რესპუბლიკური კატეგორიების მხაჯი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „სპარტაკის" ფეხბურთელები ქალაქ დერბენტის ამნანაგურ მატჩში შეხვედნენ ინგლისის ჩემპიონატის პირველ ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს „დერბი კაუნტის". ანგარიშით 3:1 (1:0) გაიმარჯვეს სპარტაკელებმა, რომელთაგან გოლები გაიტანეს პისკარიოვმა (ორი) და მინაევმა. „სპარტაკი" დღეს მეორე მატჩს გამართავს ინგლისში — ბირმინგემში შეხვდება ადგილობრივ კლუბ „ასტონ ვილას".

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ „არარატმა" ბეირუთში წაიგო ლიბანის ჩემპიონთან და თასის მფლობელთან „ნაციმას" („ვარსკვლავი") გუნდთან — 0:1. გოლი გატანილ იქნა თამაშის მე-15 წუთზე.

ᲡᲝᲩᲘ გაიმართა რამდენიმე ასნანაგური საკონტროლო შეხვედრა. დონეცკის „შახტორმა" ასგარიშით 1:0 დაამარცხა ოდესის „ჩერნომორეცი", სიმფეროპოლის „ტავრიამ" — ლვოვის „კარპატი" — 3:1, ხოლო დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲛᲐᲡᲙᲘᲜᲫᲔᲚᲗᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ იპოდრომის დახურულ მანეჟში კვირას დამთავრდა საქალაქთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 53-ე წლისთავს.

ორჭიდელთა შორის (უმცროსი ასაკი) კვლავ კარგად გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი მ. ტატიშვილი. უფროს ასაკში ყველას აჯობა მიხმა თანაგუნდელმა, სპორტის ოსტატმა ზ. დუნდუამ.

ცხენის გაწვრთნაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ვ. პალატიდიმ (თბილისი), ბოლთაჭირებაში (საველდებულო და ნებისმიერი პროგრამის შემდეგ) პირველი იყო სპორტის ოსტატი ნ. ლაბაშია (თბილისი).

ასპარეზობის დასკვნით აკორდს წარმოადგენდა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელშიც სპეციალური ბრიზი თამაშდებოდა. აქ თავი ისახელა მ. ლაბაშიამ — გალეტ მხედარს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სპეციალური ჯიელი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ბაქოს გუნდი.

ნ. ᲡᲘᲮᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□ **ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ.** ჩემკენტში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან ჩემპიონთა მოიპოვა ვ. მიქელაძემ (90 კგ.), ხოლო მ. მეკოკიშვილი (100 კგ.) და ზ. გოგორაშვილი (100 კგ. ზემოთ) მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

□ **ᲨᲐᲠᲘᲜᲘᲜᲘ.** მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდმა გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევრფინალურ მატჩშიც. ანგარიშით 3:0 მან ჰანოვერში (გფრ) დაამარცხა ამავე სახელწოდების ადგილობრივი კლუბი.

□ **ᲨᲐᲠᲘᲜᲘᲜᲘ.** „მარტინის" პრიზის ტრადიციული ტურნირის ორგანიზატორებმა საბჭოთა სპორტსმენი, მინსკელი ვიქტორ სიდიაკი აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ხმლით მოფარიკავედ. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონს გადაეცემა საპატიო პრიზი „ოქროს ხმალი".

ᲡᲐᲡᲙᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲣᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲒᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ. (საკ. კორ.). სადამო ხანი იყო. სკოლიდან შინ მიმავალი ბავშვებიდან აივსო ლენინის სახელობის ქუჩა. გზაზე „მოსკვიჩი" გამოჩნდა, რომელსაც მართავდა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების მძღოლი ელგუჯა გიორგის-ძე მჭავანაძე.

იგი, როგორც ამას ქუჩებში და გზებზე მოძრაობის დადგენილი წესები ითვალისწინებს, ვალდებული იყო გამოეჩინა ყურადღება და უზრუნველყო უსაფრთხო ჯაჭვა ქუჩაში. მაგრამ მან არ გაითვალისწინა, რომ ქუჩის ორივე მხარეს ბავშვები იყვნენ და დაეჯახა მეორე კლასის მოსწავლეს, 9 წლის გია რაზმაძეს, რომელიც სავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ამ დღეებში ე. მჭავანაძის საქმე განიხილა ტყიბულის სახალხო სასამართლომ და დამნაშავეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. სასჯელის მოხდის შემდეგ მას 3 წლით ჩამოერთვა ავტოტრანსპორტის მართვის უფლება.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲭᲐᲒᲣᲙᲗᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ დაიწყო წლევანდელი სეზონის პირველი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. ეს არის ჭაბუკთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ტარდებოდა ამხანაგში. აალანდელ ტურნირში გამოდის 16-18 წლის ფეხბურთელთაგან შემდგარი 8 გუნდი: სსრკ-I, გფრ, შვეიცია, ფინეთი (პირველი ჯგუფი) და სსრკ-II, გდრ, პოლონეთი, უნგეკეთი (მეორე ჯგუფი).

საბჭოთა გუნდების შემადგენლობაში შეყვანილია რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი — თბილისიდან, ქუთაისიდან და გორიდან.

უკვე გაიმართა პირველი მატჩები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ფინეთის გუნდი. საინტერესო იყო სსრკ-I და შვეიცარიის ფეხბურთელთა შეხვედრა, საბჭოთა ნაკრებმა შეძლო გამარჯვება 1:0 (ბურთი გაიტანა მიხსკელმა ვასილევსკიმ). სსრ კავშირის გუნდში თამაშობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩხეიძე, მუჯირი, (ორივე — თბილისის „დინამო"), კოსტავა, ბურჯანაძე (ორივე — ქუთაისის „ტორპედო") და ელაშვილი (გორის „ფილა").

ორშაბათს ტაშკენტში გაიმართა კიდევ ორი მატჩი. გდრ-ის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა პოლონეთის გუნდი, ხოლო უზბეკეთის ფეხბურთელებმა ასევითვე ანგარიშით სძლიეს სსრკ-II.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

ᲛᲔᲡᲘᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲡᲐᲡᲙᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

რა განაგებს ორგანიზმს?

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲜᲘ... ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲣᲪᲓᲔᲚᲐᲓ

□

ᲗᲐᲕᲘᲡ ტვინი უმაღლესი მატერიაა, ადამიანის გონებაა. ზურგის ტვინთან და პერიფერიულ ნერვულ ბოჭკოებთან ერთად ქმნის რა ერთიან სისტემას, იგი განაგებს ჩვენს ორგანიზმს. როცა ჩვენ, მაგალითად, გონებრივად ვუბრძანებთ ხელს აღიმართოს, ნერვული იმპულსი გამტარებელი გზებით ზურგის ტვინისაკენ პირდის, იქიდან კი სათანადო ნერვების გავლით კუნთებისკენ მიემართება და ხელი მაღლა იწევს. თუ ნერვი გადაჭრილია ან გამტარი გზები დაზიანებულია, იმპულსები მიზანს ვერ მიაღწევენ და ხელი უმოძრაოდ დარჩება (პარალიზებული იქნება). სხეულის ცალკეული ორგანოებისა და ნაწილების მიერ შეგნების ბრძანებებს განაგებს ეგრეთ წოდებული სიმპატური ნერვული სისტემა. გვაქვს კიდევ ვეგეტაციური ნერვული სისტემა — იგი „განაგებს" შინაგან ორგანოებს: აწესრიგებს ოფლისა და ნერწყვის გამოყოფას, ნივთიერებათა ცვლას, გარკვეულ დონეზე ამყოფებს სხეულის ტემპერატურას და ა. შ. ეს სისტემა საერთოდ დამოუკიდებელია შეგნებისაგან — ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენ განწყობილებას, განცდებს, მდელვარებას. შემთხვევითი როდია, რომ ხალხში გული დიდხანია მიიჩნიეთ გრძნობათა ორგანოდ — უსიამოვნო ცნობათა დროს სევდა „გვიწვავა", გული „გვეკუმშება", ხოლო სასიამოვნო ცნობათაგან — „სიხარულით გვიცემს", ადამიანზე, რომელიც სხვის განცდებს გულგრილად ეკიდება, ჩვენში ამბობენ, ქვის გული აქვსო. სარცხელოსაგან ვწითლდებით, შიშისაგან ფერს ვკარგავთ, საშინელებისაგან თავზარი გეცემა. სიხარულისაგან, წარმატებებისაგან, წყენისაგან შეიძლება თავბრუ დაგეხვეს. აღელვების დროს თვალები გვიელავენ; ცუდი განწყობილებისას მაღა გეეკარგება. ერთი სიტყვით, ყოველი მოძრაობა, ცხოვრების „მოუწესრიგებლობა გავლენას ახდენს ვეგეტაციური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე და შესაბამისად შინაგან ორგანოებსა და სისტემებზე, რომლებსაც იგი განაგებს.

გონებრივი დაძაბვა, უსიამოვნებანი, გადატვირთვები, გამოუცინებლობა, შრომის ცუდი ორგანიზაცია, იწვევს ნერვული სისტემის გამოფიტვას და მას ხშირად ზედ ერთვის ვეგეტაციური დარღვევები — ვეგეტონევროზები. ასეთი დიაგნოზი ნიშნავს: ჯერ კიდევ არ არის უხეში, ორგანული დარღვევები, არის მხოლოდ ფუნქციონალური. ვეგეტონევროზების განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს ავრეთვე ინფექციებმა, სამრეწველო შხამებით, ალკოჰოლით, ნიკოტინით მოწამლვამ, შინაგანი სეკრეციის ზოგიერთი ჯირკვლის დაავადებამ.

ეს ნერვული ძაფები არღვევენ ერთდროულად ბევრი ორგანოს ნორმალურ განვითარებას, არაიშვიათად ჩივის, რომ უოფლიანდება ხელისგულები, ტერფები, იგი სიცივეს გრძნობს, ან, პირიქით, სცხელა. ავადმყოფობის დასწყისშივე ყველა ეს დარღვევა ადვილად შეეცევადია. მაგრამ თუ არ იმკურნალეთ და სენი გაახანგრძლივეთ, თანდათან შეიძლება განვითარდეს უფრო სერიოზული, ახლა უკვე ორგანული დაზიანებანი. ასე, მაგალითად, გულის კუნთის მკვეთავი არტერიების ხშირმა ნერვულმა სპაზმებმა შეიძლება ბოლოს და ბოლოს გამოიწვიოს გულის კუნთის ცალკეული უბნების გაკვდარება და ნაჯრილობევების შექმნა. არტერიული წნევის პერიოდული აწევა შეიძლება თანდათანობით გადაიდგეს ჰიპერტონიულ დაავადებად უხეში ცვლილებებით თირკმლებში, გულში, ტვინში.

ყოველივე ეს მიგვითითებს იმაზე, რომ საჭიროა რაც შეიძლება ადრე შეუდგეთ ვეგეტონევროზების მკურნალობას, რისთვისაც თავიდან ავიცილოთ ის მავნეობა, რომელმაც ისინი გამოიწვია, მოვახდინოთ გადატვირთვათა ლოკალიზაცია. ნორმალური გავხადოთ ძილი, მოვაგვაროთ შრომისა და დასვენების რაციონალური უერთიერთშენაცვლება, ხელი ავიღოთ ალკოჰოლისა და თამბაქოს ბოროტად გამოყენებაზე. უსწრაფეს განკურნებას უწყობს ხელს ავრეთვე ცივი წყლის გადაღლება, ცურვა, გასეირნება, ქალაქგარეთ გასვლა.

ვეგეტაციურ ნერვულ სისტემას ფრიად რგებს ფიზიოთერაპევტიული პროცედურებიც, ვიტამინები. ზოგჯერ სასარგებლოა დაპყოთ სანატორიუმში, ოღონდ წლის გრილ თვეებში.

უკანასკნელ ხანს სასარგებლოდ ცნეს აუტოგენური ვარჯიში — თვითთმაგონება კუნთების მოდუნების ფონზე. ის უნდა დაიწყოთ, რა თქმა უნდა, ექიმის მეთვალყურეობით — იგი შეგირჩევთ ამა თუ იმ ფორმულასაც „თავგონებისათვის, კონტროლს გაუწევს მოდუნებაზე გარჯიშის შესრულების სისწორეს. აუტოგენური ვარჯიში საერთო გამამაგრებელ აღქმათა კომპლექსთან შეხამებით ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა ვეგეტონევროზების დროს.

Ა. ᲙᲐᲓᲘᲙᲝᲕᲘ.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
(სანტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი)

ᲔᲤᲘᲠᲘᲓᲘ

ᲡᲐᲡᲙᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲣᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲒᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). სადამო ხანი იყო. სკოლიდან შინ მიმავალი ბავშვებით აივსო ლენინის სახელობის ქუჩა. გზაზე „მოსკვიჩი" გამოჩნდა, რომელსაც მართავდა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების მძღოლი ელგუჯა გიორგის-ძე მჭავანაძე.

იგი, როგორც ამას ქუჩებში და გზებზე მოძრაობის დადგენილი წესები ითვალისწინებს, ვალდებული იყო გამოეჩინა ყურადღება და უზრუნველყო უსაფრთხო ჯაჭვა ქუჩაში. მაგრამ მან არ გაითვალისწინა, რომ ქუჩის ორივე მხარეს ბავშვები იყვნენ და დაეჯახა მეორე კლასის მოსწავლეს, 9 წლის გია რაზმაძეს, რომელიც სავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ამ დღეებში ე. მჭავანაძის საქმე განიხილა ტყიბულის სახალხო სასამართლომ და დამნაშავეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. სასჯელის მოხდის შემდეგ მას 3 წლით ჩამოერთვა ავტოტრანსპორტის მართვის უფლება.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინონარკვევი, 11.00 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო სპექტაკლი „ექვსნი გაუდგნენ გზას". I ნაწილი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — დოკუმენტური ფილმი. 13.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ხაბარდა", 16.05 — სატელევიზიო ფილმი, 16.40— სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.10 — კინონარკვევი, 17.20 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 17.50 — ფილოსოფიის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად — „ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმები", 18.05 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.40 — ნახატი ფილმების საღამო, 19.40 — „სპეციალისტი გვირჩევს", 19.55 — რეკლამა, 20.05 — „პარტიული ცხოვრება", 20.30 — „მოამბე"— საინფორმაციო პროგრამა, 21.00— სატელევიზიო დადგმა „მე და შენ" I ნაწილი, 22.00 — „ვრმია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო დადგმა „მე და შენ". II ნაწილი, 23.20 — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.05 — სკოლების დასახმარებლად — გეოგრაფია (V კლასელთათვის. მზის სითბოს განაწილების დამოკიდებულება გეოგრაფიულ განედთან), 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის „ტყის ფანტაზია", 20.15 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 21.15 — განცხადებები, 21.20 — „კინოფაფაა", 21.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „თავადი იგორი".

ᲠᲐᲓᲘᲝ

28